



Wir machen Arbeit sicher und gesund.

VDSI

Verband für Sicherheit,
Gesundheit und Umweltschutz
bei der Arbeit

ვისწავლოთ უბედური შემთხვევებისგან –
პრაქტიკული მაგალითი 3

ფატალური უბედური შემთხვევა 4 მ
სიმაღლიდან ვარდნის შედეგად

რა მოხდა?



VDSI

სამუშაო სიტუაცია

დაზიანებული პირი: უბედური შემთხვევა შეემთხვა ცვლის ოსტატს, რომელიც კომპანიაში 20 წლის მანძილზე მუშობდა.

დავალება / საქმიანობა:


შემთხვევის დღეს ცვლის ოსტატს დაევალა საწარმოო შენობაში რეაქციული ავზის სადრენაჟე სარქველის პრობლემის აღმოფხვრა. გაუმართავი სადრენაჟე სარქველი განთავსებული იყო რეაქციული ავზის ბოლოში საკიდ ჭერზე, სადაც დაყენებული იყო საინსპექციო საფარი.

რა მოხდა?



უბედური შემთხვევის მიმდინარეობა 1

სარქველის გაუმართაობის გამოსასწორებლად, ცვლის ოსტატი ჯერ შუალედურ ჭერზე ავიდა არსებული კიბის გამოყენებით.




რა მოხდა?



უბედური შემთხვევის მიმდინარეობა 2

გაუმართავ სადრენაჟო სარქველთან მისასვლელად, ცვლის ოსტატმა გააღო საინსპექციო კარი და ავიდა საინსპექციო ლუქზე, რომელიც მდებარეობდა საკიდ ჭერში, ზუსტად სადრენაჟო სარქველის ქვემოთ.



რა მოხდა?



VDSI

უბედური შემთხვევის მიმდინარეობა 3

მამაკაცის სიმბიმის ქვეშ, საინსპექციო ლუქის ჩამკეტმა მოულოდნელად ვერ გაუძლო დატვირთვას და ლუქი გაიხსნა.

Verband für Sicherheit,
ცვლის ოსტატი ღიობიდან 4 მეტრის სიმაღლიდან ჩავარდა და თავი იატაკს დაარტყა.



რა შედეგები მოჰყვას უბედურ შემთხვევას?



VDSI

დაცემისას ცვლის ოსტატმა თავის არეში მძიმე დაზიანება მიიღო და მას უბედური შემთხვევის შედეგად გამოძახებული სასწრაფო დახმარების ექიმი 45 წუთის განმავლობაში მკურნალობას უწევდა.

შემდეგ ის სამაშველო ვერტმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს და კომაში ჩავარდა.

5 დღის შემდეგ, თავზე მიღებული მძიმე დაზიანებების გამო, გონსმოუსვლევად გარდაიცვალა.




უბედური შემთხვევის მიზეზები




რატომ მოხდა უბედური შემთხვევა?

საინსპექციო ლუქი არ იყო კარგად დაპროექტებული და დაცული გავლისგან.


დამცავი საკეტი არ იყო გათვლილი შესაძლო დატვირთვაზე. ამიტომ სარემონტო სამუშაოებისათვის შესვლა მანდ არ შეიძლებოდა



არსებული რისკის შეფასების შედეგების მიხედვით, სამუშაო უნდა განხორციელდებოდა მხოლოდ ქვემოდან, უსაფრთხო ხარაჩოებიდან საინსპექციო ლუქის მეშვეობით.



თანამშრომელი ნებართვის გარეშე მუშაობდა. ეს ნებართვა კი საწარმოს ხელმძღვანელს წერილობით უნდა გაეცა. საინსპექციო კარის გასაღებს თავად მუშა ინახავდა.



პრევენციული ზომები



VDSI

მსგავსი უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, მიღებულ იქნა შემდეგი ზომები:

- გადაუდებელი ღონისძიების სახით, საინსპექციო კარი ჩაიკეტა იყო და გასაღებები ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი.
- უზრუნველყოფილ იქნა მობილური პლატფორმა სამომავლო სარემონტო სამუშაოებისთვის.
- მთელი პერსონალი, მათ შორის ყველა მენეჯერი, დაესწრო სემინარებს, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ტექნიკური სამუშაოები უსაფრთხოდ.
- მოგვიანებით, საკიდი ჭერი მთლიანად მოიხსნა, რათა სარემონტო სამუშაოებისთვის უფრო ადვილი წვდომა ყოფილიყო.

გთხოვთ დაფიქრდეთ! როგორაა საქმეები ჩვენს კომპანიაში?

- სად არის ვარდნის რისკის ზონები ჩვენს კომპანიაში, როგორცაა მაგალითად დაკიდული ჭერები, სახურავები, დიდი მანქანები, გუმბათის ფანჯრები, კიბეებზე შესასრულებელი სამუშაოები?
- როგორ ვიცავთ თავს ვარდნისგან?
- როგორ ვუზრუნველყოფთ ვარდნის ზონების უსაფრთხოებას?
- გვაქვს თუ არა ძნელად მისადგომი სარქველები ან სხვა აღჭურვილობა?
- არის თუ არა რაიმე საშიში საქმიანობა ჩვენს ტერიტორიაზე, რომელის განხორციელებაზე ნებართვა პირდაპირ მენეჯერისგან უნდა იყოს გაცემული?
- რა პუნქტებია ჯერ კიდევ განსახილველი?